

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22

2013 წლის 28 ივნისი

ქ. საგარეჯო

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მუხლი 1. ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის მოცულობა 7563.0 ათ. ლარის ოდენობით. შემოსულობების ნაწილში – 7563.0 ათ. ლარის ოდენობით; მ.შ. გადასახადები – 1605,0 ათ. ლარი; გრანტი – 3957.0 ათ. ლარი, სხვა შემოსავლები – 1192.4 ათ. ლარი. ფინანსური აქტივების კლება – 596.0 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების კლება – 212.6 ათ. ლარი; გადასახდელების ნაწილში განისაზღვროს – 7563.0 ათ. ლარი.

2. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილების დანართი №1, № 2, № 3 ჩამოყალიბდეს №1, № 2 , № 3 დანართების შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ილია ჭიაურელი

დანართი №1

თავი I

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბალანსი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბალანსი							
2012 წლის ფაქტი				2013 წლის გეგმა			
მათ შორის				მათ შორის			
2011							



დასახელება	წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	8 413,4	8087.1	2311.0	5776.1	6668.0	1096.3	5571.7
გადასახადები	1 772,3	1640.0		1640.0	1605.0		1605.0
გრანტები	5 358,3	5216.7	2311.0	2860.7	3957.0	1096.3	2 860,7
სხვა შემოსავლები	1 282,8	1230.4		1230.4	1192.4		1192.4
ხარჯები	5 365,7	6239.2	235.6	6003.5	6124.8	99,3	6016.0
შრომის ანაზღაურება	1 152,1	1375.9		1375.9	1952.5		1952.5
საქონელი და მომსახურება	1 817,6	1852.8	235.6	1617.2	1723.4	99,3	1624.1
ძირითადი კაპიტალის მომსახურება		0,0	0,0	0,0	0,0		0,0
პროცენტი		7,9	0,0	7,9	6,9		6,9
სუბსიდიები	1 344,4	1640.3	0,0	1640.3	1946.0		1946.0
გრანტები	500,0	330,0	0,0	330,0	0,0		0,0
სოციალური უზრუნველყოფა	549,7	1030.6	0,0	1030.6	486.5		486.5
სხვა ხარჯები	1,8	1.8		1.8	9.6		9.6
საოპერაციო სალდო	3 047,7	1850.4		1850.4	629.2	997.0	-367.7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1 987,4	2932.5	1 937,1	2932.5	1225.2	1256.5	-30.8
ზრდა	2 672,9	6708.8	1 937,1	6708.8	1438.3	1256.5	181.8



კლება	685,5	3776.3	0,0	3776.3	212.6		212.6
მთლიანი სალდო	1 060,4	1082		1082	-596.0	-259,5	-336.5
ფინანსური აქტივების ცვლილება	1 042,2	0.0	0.0	0.0	-596.0	-259,5	-336,5
ზრდა	1 042,2	0,0	0,0	0,0	0,0		0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1 042,2	0,0	0,0	0,0	0,0		0,0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა		0,0	0,0	0,0	0,0		0,0
სესხები		0,0	0,0	0,0	0,0		0,0
აქციები და სხვა კაპიტალი		0,0	0,0	0,0	0,0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები		0,0	0,0	0,0	0,0		0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები		0,0	0,0	0,0	0,0		0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები		0,0			0,0		0,0
კლება		1 893,8	173,8	1 720,1	596.0	259,5	336,5
ვალუტა და დეპოზიტები		0,0	0,0	0,0	0,0		0,0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა		0,0	0,0	0,0	0,0		0,0
სესხები		0,0	0,0	0,0	0,0		0,0
აქციები და სხვა კაპიტალი					596.0	259,5	336,5
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები		0,0	0,0	0,0	0,0		0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები		0,0	0,0	0,0	0,0		0,0



სხვა დებიტორული დავალიანებები		1 893,8	173,8	1 720,1	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-18,1	-8,5	0,0	-8,5	-9,6		-9,6
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0		0,0
საგარეო		0,0	0,0	0,0	0,0		0,0
საშინაო		0,0	0,0	0,0	0,0		0,0
კლება	18,1	8,5	0,0	8,5	9,6		9,6
საგარეო		0,0	0,0	0,0	0,0		0,0
საშინაო	18,1	8,5	0,0	8,5	9,6		9,6
ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

საგარეოს მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება			
			ათას ლარებში
დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
შემოსულობები	9 098,9	11863.4	6967.0
შემოსავლები	8 413,4	8087.1	6754.4
არაფინანსური აქტივების კლება	685,5	3776.3	212.6
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)			
ვალდებულებების ზრდა		0,0	



გადასახდელები	8 056,6	12953.9	7563.0
ხარჯები	5 370,3	6239.2	6115.2
არაფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	2 668,2	6706.3	1438.3
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)			0,0
ვალდებულებების კლება	18,1	8,5	9,6
ნაშთის ცვლილება	1 042,3	84,6	-596.0

მუხლი 3. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6754.4 ათასი ლარის ოდენობით

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები							
							ათას ლარებში
დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		მათ შორის			მათ შორის		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	8413,4	8087.1	2311.0	5776.1	6754.4	1096.3	5658.1
გადასახდელები	1772,3	1640.0		1640.0	1605		1605.0
გრანტი	5358,3	5216.7	2311.0	2905.7	3957.0	1096.3	2860,7
სხვა შემოსავლები	1282,8	1230.4		1230.4	1192.4		1192.4



მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გადასახდელები							
							ათას ლარებში
დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1772,3	1640	0	1640	1605	0	1605.0
ქონების გადასახადი	1772,3	1640	0	1640	1605	0	1605.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	418,8	240.2		240.2	240		240.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	13	18.3		18.3	11		11
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1111,2	1261.1		1261.1	1235		1235
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	226,8	119.1		119.1	119.0		119.0
სხვა გადასახადი ქონებაზე	2,5	1.3		1.3			
სხვა გადასახადები							

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები



განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 3957.0 ათასი ლარის ოდენობით

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტი			
დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
გრანტები	2867,7	5216,7	3957,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	2867,7	5216,7	3957,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი	2867,7	5216,7	2860,7
გათანაბრებითი ტრანსფერი	2690,7	2705,7	2660,7
მიზნობრივი ტრანსფერი	177	200,0	200
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		267,6	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0	2043,4	1096,3
საქართველოს რეგიონები განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები		609,5	99,3
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		987,9	997,0
სხვა პროექტები	0	446,0	0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ		430,0	
მთავრობის სარეზერვო ფონდი		16,0	

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1192.4 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1282,8	1230,4	1192,4
შემოსავლები საკუთრებიდან	760,3	833,5	697



პროცენტები	50	182.1	47
დივიდენდები			
რენტა	710,3	651.4	650
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	708,4	650.3	650
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,9	1.1	
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	138,1	90.3	67.7
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	130,7	83.8	67.7
სანებართვო მოსაკრებელი	20,2	25.6	10,3
სახელმწიფო ბაჟი	7,2	1.4	
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	5,6	4.6	2.4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	46,6		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	51,1	52.2	55
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	7,4	6.5	0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	7,4	6.5	
ჯარიმები, სანქციები და საურავები	382,4	293.8	427.7
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	2	12,8	

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6124.8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხარჯები							
		2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		მათ შორის			მათ შორის		
2011							



დასახელება	წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	5 379,5	6239.2	235.6	6003.5	6124.8	99,3	6016.0
შრომის ანაზღაურება	1 152,1	1375.9		1375.9	1952.5		1952.5
საქონელი და მომსახურება	1 822,3	1852.8	235.6	1617.2	1723.4	99,3	1624.1
პირითადი კაპიტალის მომსახურება		0,0			0,0		
პროცენტი	8,9	7,9		7,9	6,9		6,9
სუბსიდიები	1 344,7	1640.3		1640.3	1946.0		1946.0
გრანტები	500,0	330,0		330,0	0,0		
სოციალური უზრუნველყოფა	549,7	1030.6		1030.6	486.5		486.5
სხვა ხარჯები	1,8	1.8		1.8	9.6		9.6

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 1225.7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 1438.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	125,2	260.0	32.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	83,4	69.0	5.2



03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2376,4	5305.3	1140.4
04 00	განათლება	31,2	487.0	223.6
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	29,8	512.9	37,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	22,1	72.2	

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 212.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	622,2	3776.3	212.6
ძირითადი აქტივები	240,1	53.9	100,0
არაწარმოებული აქტივებო	382,1	3661.5	112.6
მიწა	382,1	3661.5	112.6

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2251,2	2431.3	2347.8
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1705,5	2078.7	2331.3
70111	აღმასრულებელ და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1671,7	2078.7	2304.8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	33,8	0,0	26.6



7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	9,91	6,0	0,0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	9,91	6,0	
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	18,14	7.9	16,44
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	500	330,0	
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	17,7	14.7	0
702	თავდაცვა	100,2	99.2	126,5
7021	შეიარღვეული ძალები	100,2	99.2	126,5
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	303,5	308.9	276.8
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	100,0	102.1	0,0
7032	სახანძრო დაცვა	203,5	206.8	276.8
704	ეკონომიკური საქმიანობა	1381,8	3384.9	624.5
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	158,9	4.0	70.1
70421	სოფლის მეურნეობა	154,9	4.0	70.1
70423	მეევზეობა და მონადირეობა	4		
7045	ტრანსპორტი	1222,9	3380.9	554.3
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1222,9	3380.9	554.32
705	გარემოს დაცვა	777,4	593.0	435,6
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	698,3	590.0	435,6
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	76,1		
7055	გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის საქმეში	3,0	3,0	
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1686,6	2321.6	1058.0
7063	წყალმომარაგება	1178,0	1083.8	491.7
7064	გარე განათება	227,6	361.8	268,8
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	281,0	876	297.5



707	ჯანმრთელობის დაცვა	123,9	152.4	82
70711	ფარმაცევტული პროდუქცია	0,8		
7072	ამბულატორიული მომსახურება	32,1	76.9	7
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	32,1	76.9	7
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	70	70,0	75
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	21	5,5	
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	725,7	1342.4	858.9
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	271,5	355.6	380.6
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	398,6	834.5	424,3
7083	ტელერადიომაუწყებლობისა და საგამომცემლო საქმიანობა	21	24,5	24,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	34,7	127.8	30
709	განათლება	763,2	1289.2	1301.5
7091	სკოლამდელი აღზრდა	724,3	1218.5	1242.8
7092	ზოგადი განათლება		28	
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	39,0	42.7	58,7
710	სოციალური დაცვა	521,8	1022.6	370,5
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა			
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა			
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	210	168.5	162.8
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	1,8	1.8	1,8
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	30,6	38.7	40
7107	სოციალური გაუცხოვების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	267,5	804.8	231.0



7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	12	8.8	15.9
	სულ	8635,5	12945.4	7563.0

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 596.0 ათასი ლარის ოდენობით

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -596.0 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 596.0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	სულ 2013 წლის გეგმა	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები
ფინანსური აქტივების ცვლილება	596.0	-259,5	-336,5
ზრდა	0,0	0,0	0,0
კლება	596.0	259,5	336,5
ვალუტა და დეპოზიტები	596.0	259,5	336,5

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -9.6 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შექმნილი სარეზერვო ფონდი შემცირდა 0.9 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა 26.6 ათ. ლარის ოდენობით, რომლის ხარჯვაც ხორციელდება საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 67-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ და გამოყოფს საფინანსო ორგანო.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 200. ათასი ლარი მიიმართოს:

- ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების



განხორციელებისათვის 75.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 117 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 8.0 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადაანაწილება

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი №2

თავი I

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ბოლო დროს გახშირებული მიწისძვრის, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება. სახანძრო სამაშველო სამსახურის შენობის რეაბილიტაცია და კომუნალური პირობების გაუმჯობესება. არსებული რესურსებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით სახანძრო და მაღალგამავლობის ავტომობილის შეძენა, რაც აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების, აგრეთვე საგზაო უსაფრთხოების ამოცანათა განხორციელება ბოლო წლებში ინტენსიურად ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ. მუნიციპალიტეტი შესაბამისი ფინანსური რესურსების ფარგლებში უზრუნველყოფს მათი საქმიანობის ხელშეწყობას, რაც გამოიხატება კომუნალური ხარჯების ანაზღაურებაში.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია სახანძრო და სამაშველო აღჭურვილობისა და შეიარაღების მოდერნიზაციის გაგრძელება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამედროვე სტანდარტების ტექნიკითა და შეიარაღებით აღჭურვა. მათი შესწავლის უზრუნველყოფა, ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური მუშაობა რაც აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის,

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილება, მათი შედეგების ლიკვიდაცია, მოსახლეობისა და გარემოს სახანძრო უსაფრთხოების დონის ამაღლება

შედეგების შეფასების კრიტერიუმი:



სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახურის შემთხვევებზე რეაგირების დროის შემცირება 10%-ით.

წინა წლებთან შედარებით უბედური შემთხვევების (მათ შორის, გარდაცვლილთა) შემცირება 20%-ით.

წინა წლებთან შედარებით დამწვარი ფართობების შემცირება 20%-ის.

1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო დამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია;

რეზერვისტთა გაწვევის გაუმჯობესება.

თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობა.

შედეგების საბოლოო შეფასება:

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გეგმის 100% შესრულება.

მობილიზებული რეზერვისტების 100 % შესრულება.

ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების და შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შემდგომი მოვლა –შენახვა, პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება გზების მოასფალტებას და ორმოულ შეკეთებას და სასოფლო გზების მოხრეშვას, ტროტუარების რეაბილიტაციას, მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების ეზოების კეთილმოწყობას, სასმელი წყლის სათავე ნაგებობების და ქსელის სისტემის რეაბილიტაციას, მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების სახურავების და ფასადების რეაბილიტაც სასმელი წყლის ქსელის მომსახურების, გარე განათების რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციის, ხეების ნაპირების გამაგრებას და მისი ნატანებისაგან გაწმენდას, ქალაქის დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას და ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სკვერები, ბაღების მოვლა–პატრონობას, მეტეოროლოგიური სადგურის მომსახურე პერსონალისთვის ხელფასის გადახდა, სპორტული დარბაზების და სპორტული მოედნების მოწყობა, სკვერების მოვლა–შენახვა და ექსპლოატაციას.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება; ასევე ახალი და შიდაგზების რეაბილიტაცია; საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების, გადასასვლელების და სიჩქარის შემზღვეველი ბარიერების მოწყობა, ასფალტის საფარის ორმოული



შეკეთება; რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

მოწესრიგებული სავალი ნაწილი ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას

ქუჩების განტვირთვა ჭარბი სატრანსპორტო ნაკადისაგან.

სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების კრიტერიუმი:

რეაბილიტირებული გზების ზრდა 40 %-ით.

ახალი საფარით დაფარული გზების მატება 30 %-ით.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მისი ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, ქალაქ საგარეჯოს და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სათავე ნაგებობის და ქსელის მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, სანიაღვრე არხების და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული ხევების ნატანებისაგან გაწმენდა და დამცავი ჯებირების მშენებლობა.

2.2.1 ბინათმშენებლობა

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ საგარეჯოში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების და სახურავების შეკეთება.

2.2.3 წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი(03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, არსებულ წყალმომარაგების ქსელის მცირე მასშტაბიანი სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიაზე არსებული სათავე ნაგებობების, რეზერვუარების, შიდასაუბნო და ცენტრალური ქსელების, სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობა (დარეგულირება) და რეცხვა-დეზინფექცია სადეზინფექციო საშუალებებით; წყლის საანალიზო სინჯების აღება, არსებული სანიტარულ ნორმებთან მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით.

2.2.4 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია ქუჩების განათება, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების დაფარვა, რეაბილიტირებულ გზებზე ახალი წერტილების მოწყობა, ისტორიულ ძეგლებზე და მუნიციპალიტეტის ღირშესანიშნავ ადგილებში მინათების მოწყობა.

2.2.5 დასუფთავების ღონისძიებები პროგრამული კოდი (03 02 01)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განხორციელდება ქალაქ საგარეჯოს 42 ქუჩიდან, სოფელ გიორგიწმინდის და ნინოწმინდის მოსახლეობიდან, ფიზიკური და იურიდიული პირებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანა არანაკლებ ორ დღეში ერთხელ, ქალაქ საგარეჯოს ცენტრალური ქუჩების და მოედნების დაგვა-დასუფთავება; ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა, ნაგავსაყრელის მოვლა-შენახვა,



საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის ახალი ბუნკერების შექმნა. ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბაღების, სკვერების, გაზონების მოვლა-პატრონობა. უმეტესადაც უროს დარჩენილი ცხოველების იზოლაციის სამუშაოები.

2.2.6 სანიაღვრე არხების მშენებლობა და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხევების კალაპოტები თოვლის დნობის ან ძლიერი წვიმების დროს ჭარბ წყალს ვერ იტევს, კალაპოტიდან გადმოდის და მოსახლეობის კუთვნილ საკარმიდამო ნაკვეთებს ტბორას. ხშირია შემთხვევა წყლის ცენტრალურ გზაზე გადასვლისავრები , რაც ხელს უშლის კახეთის მიმართულებით ტრანსპორტის გადაადგილებას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხევების კალაპოტების ნატანებისაგან გაწმენდა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მრავალსართულიანი შენობებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

ქალაქის იერსახის გაუმჯობესება;

სუფთა და უსაფრთხო გარემო;

დასახლებული ტერიტორიების წყალმომარაგების მიწოდების გაუმჯობესება

მოსახლეობისათვის მიწოდებული წყლის ხარისხის გაუმჯობესება;

ფეხით მოსიარულეთათვის და სატრანსპორტო საშუალებებისთვის უსაფრთხო გადაადგილება

კრიმინოგენური ფაქტორების შემცირება

მაწანწალა და უმეტესადაც უროს დარჩენილი ცხოველების რაოდენობის შემცირება

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

რეაბირიტრირებული საცხოვრებელი ფართობი გაიზრდება %-ით

რეაბირიტრირებული ფასადების ფართობის ზრდა %-ით

მაწანწალა ძაღლებისაგან დაკბენილი მოსახლეობის შემცირება;

განათებული ფართობების ზრდა %-ით;

დასატბორი ფართობის შემცირება %-ით

სასმელი წყლის ქსელის შენარჩუნება

2.3 კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მინისტრადიონების მოწყობა, მოვლა-შენახვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერების, გაზონების მოვლა-პატრონობა, ხე მცენერების, ბუჩქებისა და ყვავილების შექმნა, ახალი სკვერების მოწყობა,



2.3.1 სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)

მოსახლეობასი ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი სპორტული მოედნების მოწყობას და არსებული სპორტული მოედნების და სპორტდარბაზების მოვლა შენახვას. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება არსებული სპორტული დარბაზების და მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.

2.3.2 სკვერების, ბაღების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია

(პროგრამული კოდი 03 03 02)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა, ხე და მცენარეების, ბუჩქების და ყვავილების შეძენა, სანაგვე ურნების საბაღე სკამების აღდგენა, მწვანე საფარის მუდმივი განახლება, გარე განათებების მოწესრიგება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ქალაქის იერსახის გალამაზება და რეაბირტირებული რეკრეაციული ზონა.

მოსაფრთხეობის უსაფრთხო გარემო.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

გამწვანებული ფართობების ზრდა %-ით;

სპორტული მოედნების ზრდა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განთავსებულია 26 სკოლამდელი დაწესებულება, სადაც სწავლობს 1065 აღსაზრდელი, 2013 წელს დაწესებულებების შენახვაზე გამოყოფილია 1075.2 ათასი ლარი, საიდანაც კვების თანხაზე მიიმართება 245 ათასი ლარი, სკოლამდელ დაწესებულებებში სამჯერადი კვება, ერთი ბავშვის კვება დღეში 2 ლარი და 20 თეთრიდან, საიდანაც მშობელთა შენატანებით (ერთ ბავშვზე თვეში 10 ლარი) იფარება 70 თეთრი, პროექტის ფარგლებში ხორციელდება სკოლამდელ დაწესებულებებში აღსაზრდელთა კვების ხარისხის ამაღლება, ასევე მოსაწესრიგებელია სკოლამდელი დაწესებულებების შენობები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ზოგადი და პროფესიული განათლების ხელშეწყობა.

3.1 სკოლამდელი განათლება(პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის დასახელება: სკოლამდელი სააღზრდელი განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი0401)



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვების მეთვალყურეობა, მათი ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაცვა. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სწავლების დონის განსაზღვრა „სკოლამდელი აღზრდის პროგრამის“ შესაბამისად, ანუ შესაბამისი პროგრამების, სასწავლო და მეთოდური მასალების განსაზღვრა, ბავშვთა სრულფასოვანი კვების ორგანიზება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი;

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მენეჯმენტის სრულყოფა;

საბავშვო ბაგა-ბაღებში დასაქმებულთა მოტივიზაციის გაზრდა;

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის პროცესში.

შედეგების შეფასების კრიტერიუმი:

აღსაზრდელთა და მშობელთა კმაყოფილობის ზრდა;

აღსაზრდელთა რაოდენობის ზრდა %-ით.

3.2 პროფესიული განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამა ითვალისწინებს ხელი შეუწყოს სკოლის მოსწავლეთა ესთეტიკურ სულიერ აღზრდას, მოახდინოს მათი მხატრულ-შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზება, ასევე ხელი შეუწყოს არქართველი მოსახლეობის ქართული ენის შესწავლას.

3.2.1 საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი (პროგრამული კოდი 04 03 01)

პროგრამა ითვალისწინებს ხელი შეუწყოს სკოლის მოსწავლეთა ესთეტიკურ სულიერ აღზრდას, მოახდინოს მათი მხატრულ-შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზება.

3.2.2 არაქართულ სოფლებში ქართული ენის წრის ხარჯები

(პროგრამული კოდი 04 03 02)

პროგრამა ითვალისწინებს არქართველი მოსახლეობის ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი;

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მენეჯმენტის სრულყოფა;

საბავშვო ბაგა-ბაღებში დასაქმებულთა მოტივიზაციის გაზრდა;

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის პროცესში;



განათლებული მომავალი თაობის აღზრდა;

ქართული ენის პოპულარიზაცია.

შედეგების შეფასების კრიტერიუმი:

აღსაზრდელო და მშობელთა კმაყოფილობის ზრდა;

აღსაზრდელო რაოდენობის ზრდა %-ით;

რესპუბლიკურ ტურებში გამარჯვებული მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა

ინტეგრირებული არაქართუელი მოსახლეობა.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

(პროგრამული კოდი 05 00)

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და ფინანსური მხარდაჭერა; სპორტის სხვადასხვა სახის (ფეხბურთის, ცურვა,თავისუფალი ჭიდაობ, ძიუდო, მძეოსნობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, რაგბი, ჭადრაკი) განვითარების პოპულარიზაცია. სხვადასხვა ადგილობრივ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

4.1.სპორტული სკოლები (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება;

2013 წლის განმავლობაში დაფინანსდება აიპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ (სადაც ფუნქციონირებს ჭადრაკის, ფეხბურთის, თავისუფალი ჭიდაობის, ძიუდოს, მძეოსნობის, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, რაგბის სექციები) და აიპ საგარეჯოს 105 კომპლექსური სპორტსკოლის ხარჯები.

აიპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ სექციებში ჯანმრთელობას იკაჟებს 165 მოსწავლე

სპორტსკოლებში სწავლა უფასოა გარდა ცურვის სექციისა.

სპორტულ სკოლებში დასაქმებულია მწვრთნელები, რომლებიც ემსახურება ბავშვის აღზრდას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ბავშვების და მოზარდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიური ჩაბმა;

მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი;

ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით;

სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივ და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა.

შედეგების შეფასების კრიტერიუმი:

სპორტულ ჯგუფებში ჩაბმული ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის ზრდა;



სპორტის ადგილობრივ, რესპუბლიკურ და სართაშორისო სპორტულ ღონისძიებებში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობის ზრდა.

4.2 პროგრამა – კულტურის განვითარების ხელშეწყობა, (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, წიგნადი ფონდის განახლება თანამედრვე ლიტერატურით, ადგილობრივი მნიშვნელობის თეატრის რეპერტუარის განახლება; კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სეზონზე ახალი სპექტაკლების ზრდა;

მოსახლეობისათვის განახლებული სერვისის შეთავაზება და მკითხველთა დაინტერესების გზით მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა;

მუზეუმების პოპულარიზაციის გაზრდილი დონე – ექსპოზიციები; გამოფენები, გზამკვლევები;

საზოგადოების ფართო ნაწილის მონაწილეობა მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში

ნიჭიერი შემოქმედების წარმოჩენა, შემოქმედებითი პროცესის ინტენსივობა.

შედეგების შეფასების კრიტერიუმი:

ახალი სპექტაკლების რაოდენობა;

თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებული მაყურებლის რაოდენობის ზრდა;

ბიბლიოთეკებში მკითხველთა რაოდენობის ზრდა;

საგანმანათლებლო-სამეცნიერო ღონისძიებების ზრდა;

მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა.

4.3. პროგრამა – სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსწავლეთათვის დაწყებითი სამუსიკო განათლების მიცემა; სასწავლებელი მოიცავს შემდეგ დარგებს: საფორტეპიანო, სავიოლიო, ვოკალური. ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა; მოსწავლეთათვის ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოსწავლეთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება;

მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული წარმატებული მოსწავლეები.

შედეგების შეფასების კრიტერიუმი:

